**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 40 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 40

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტ ს 1-ს—3 მან. და ენკენისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან

მსურველთ შეუძლიანთ ყოველ-დღე წაიღონ გასასყიდად „ივერიის" მიერ ნათარგმნი და ცალკე ფურცლებად დაბეჭდილი დეპეშები იმავე დღისა ხელმისაცემის პირობით.

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

---

## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოდის იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. ,,ივერიის'' **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: **Тифлисъ, Редакція „Иверіа"**.

---


**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი).

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემლიძე.**


---

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

,,ივერიის'' რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ ,,ივერიაში'' ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 მან.).

---

**წითელის ჯვრის სასარგებლოდ**

სომხურ ჟურნალების ,,ალბიურ''-ისა და ,,ტარაზ''-ის რედაქციის მიერ (ოლგას ქუჩა, 33, სამხედრო ოლქის სასამართლოსა და ოლგას საბებიო ინსტიტუტის პირდაპირ) დაიწყება გამოფენა სახელოვნობო ნაწარმოებთა ოთხშაბათიდგან 11 თებერვლიდან 18 თებერვლამდე, ყოველ დღე 12 საათიდგან 5 საათამდე.

ფასი შესვლისა 20 კაპ. სულ წითელის ჯვრის სასარგებლოდ გადაიდება, სახელოვნობო ნაწარმოების ფასიდგან 25% გადაიდება წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

გამოფენაზე მიმსვლელთა გვარები დაბეჭდილი იქმნება ,,ტარაზ''-ში.

(5—უ—5)

---


გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანეთი.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ორშაბათს, 16 თებერვალს 1904 წ.**

საიმპერატორო ოპერის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, ე. ვ. სტეფანოვიჩისა და ვ. მ. ტურჩანინოვას მონაწილეობით

წარმოდგენილ იქმნება

## კარმენ

ოპერა 4 მოქ. მუს. ბიზესი,

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: სტეფანოვიჩისა, ტურჩანოვისა, ლელინასი, ფედოროვისა; ბ-ნნი: დავიდოვი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი.

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

---

## ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვების ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. აჯვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, ასწავლის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


---

## დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 თებერვალი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელზე, 13 თებერვლიდგან 1904 წლისა: დასამატებლად დეპეშისა 13 თებერვლიდგან უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას: პორტ-არტურში 12 თებერვალს, მთვარე რომ ჩავიდა, «რეტვიზანმა» რამდენჯერმე უკუ აქცია მტრის ნაღმიანი გემები, რომელთაგან ორი დაღუპული უნდა იყოს. ზღვაზე ჩვენი ნაღმიანი გემები, პირველ ხარისხის კაპიტნით მატუსევიჩითა და მეორე ხარისხის კაპიტნის თავად ლიევენის უფროსობით, შეხვდნენ და გაეკიდნენ მტრის მხოლოდ ნაღმიან გემებს, დიდი გემები-კი არ შეუნიშნავთ. დილით, 12 თებერვალს, გაიგზავნა კრეისერები «ბაიანი», «დიანა», «ასკოლდი» და «ნოვიკი», რომ იაპონიის კრეისერები გაეტყუებინა და აეცდინა ჩვენ ნაღმიან გემებისაგან, რომლებიც უკან დარჩენილიყვნენ; მათგან ერთი ნაღმიანი გემი იაპონიის ოთხმა ნაღმიანმა გემმა გაიცალკევა, მაგრამ მოასწრო შესვლა გოლუბინის ბუხტში, რომელსაც შორიდგან მტერმა ყუმბარა დაუშინა. მოკლული და დაჭრილი იმ გემებზე არავინ არის. იაპონიის ფლოტმა ჩვენი კრეისერები რომ შენიშნა, მოუახლოვდა ციხეს, საიდგანაც, როგორც გემებიდგან, სროლა ასტყდა. 10 საათსა და 50 წუთზე კრეისერები სროლითა და უკან დახევით ნავთ-სადგურში შევიდნენ, როდესაც ნაღმიანი გემები უკვე იქ დაბრუნებულიყვნენ. მტრის ყუმბარები მომეტებულ ნაწილად ჩვენამდე ვეღ მოდიოდა. მხოლოდ ერთი მატროსია დაჭრილი, სხვა ზიანი არა გვაქვს-რა. იაპონიის ფლოტში, რომელიც პორტ-არტურზე მოვიდა 17 დიდი გემია და მასთან 8 ნაღმიანი გემი, გუშინ-კი და 11 თებერვალს 12 იყო.

ხელმწიფე მემკვიდრემ ინება და თავის საკუთარ თანხებიდგან ფლოტის გასაძლიერებლად შესწირა 100,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** «კანონთა კრებულში» დაბეჭდილია განცხადება, რომ ქალაქ ბლაგოვეშჩენსკში, ამურის ოლქში, შემოღებულ იქმნება წესწყობილების გაძლიერებულ დაცვის დებულება და ზაბაიკალის ოლქში ომიანობისა.

14 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრინა ოლღა ნიკოლოზის ასული, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ავგუსტოეს მეუღლისა და მთავრინის ირინე ალექსანდრეს ასულითურთ და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული ეზიარნენ მის უდიდებულესობის საკუთარ ანიჩკოვის სასახლის ეკლესიაში.

**ადენი.** («რეიტერის სააგენტო»). კვირას ღამე რუსეთის ნაღმიანმა გემმა წითელ ზღვაზე ზარბაზანი ესროლა ინგლისის საფოსტო გემს «მომბასას», დანიშნულებისამებრ კალკუტაში მიმავალს, რომ შეეჩერებინა. რადგან გემმა ყურადღება არ მიაქცია, მეორედაც ესროლა, რის შემდეგაც «მომბასა» გაჩერდა. რუსის გემი მიუახლოვდა, ავიდა გემზე და ქაღალდები დასჩხრიკა.

**სეული.** («რეიტერის სააგენტო»). კორეის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს თვისი ჯარი, რომ იაპონელებთან ერთად იმოქმედოს. პორტი ი-ჩჟუ ღიაა უცხოელთა ვაჭრობისათვის.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). დღეს ლორდთა პალატაში ბჭობა იყო თიბეთის ექსპედიციის შესახებ. რამდენიმე ორატორმა ილაპარაკა. ერთმა მათგანმა სთქვა წინადადება მივცეთ მთავრობას, რომ შეაჩეროს ამ ექსპედიციის წინსვლელობა, შორეულ-აღმოსავლეთის საქმეებისა გამო. როზბერიმ ილაპარაკა იმის გამო, ვითომც რუსეთი და თიბეთი შეთანხმებულნი არიანო. გარეშე საქმეთა მინისტრმა ვრცლად განმარტა, საჭიროა თიბეთის დამოუკიდებლობის აღდგენაო, და წარმოსთქვა აზრი, თუ რომელსამე სახელმწიფოს უპირატესი გავლენა უნდა ჰქონდეს თიბეთზე, ეს უპირატესობა ინგლისს ეკუთვნისო. შემდეგ ლანსდოუნმა სთქვა, რომ რუსეთმა ცხადად გამოხატა თვისი პოლიტიკა თიბეთის შესახებ. ის ხმები, ვითომც ლხასსში რუსეთის რაზმები არისო, დაუჯერებელია. თიბეთელებს იმედი ჰქონდათ რუსეთის დახმარებისა და ამ მოსაზრებამ გამოიწვია მათი წინააღმდეგობა. ლანსდოუნმა ბოლოს მტკიცე იმედი გარმოსთქვა, რომ მთავრობა ამ საგანს კვალად დაუბრუნდება, როდესაც შესაფერი დრო იქმნება. ამით დასრულდა ბჭობა თიბეთის შესახებ.

**ვენა.** შვეციის მეფე აბაციას წაბრძანდა.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). საზღვაო სამინისტროს პირველმა ლორდმა სიტყვა წარმოსთქვა კუდბრიჯში და საზოგადოების მწერლობის ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ ისინი დიდად პასუხის მგებელნი არიან ომის შესახებ და მოაგონა მათ რაოდენად აღელვა ინგლისის საზოგადოების აზრი საზღვარგარეთის გაზეთებმა ბურების ომიანობის დროს. «ეს გვახსოვდეს ჩვენ»,—სთქვა სოლბორნმა,—ჩვენ უნდა ვერიდნეთ უსამართლობას, შეცდომას და კრიტიკულს

დაფასებას; ჩვენვე გავხდით მათ მსხვერპლად.

**ბერლანში.** (საკუთარ კორესპონდენტისაგან). აქაური პოლიტიკური დასნი ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის წარმატებაზედ, რომელმაც დაამტკიცა, რომ რუსეთის ფლოტს შეუძლიან თავი დაიცვას. ჯავშნიან გემის «რეტვიზანი»-სა და ბოტარეის ღვაწლი გაზეთებმა ღირსეულად დააფასეს.

**კანი.** დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე უავგუსტოესის მეუღლითურთ მოვიდა.

**ტოკიო.** (რეიტერის სააგენტო). 10 თებერვალს იაპონიამ და კორეიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს კორეის ხელშეუხებლობასა და დამოუკიდებლობას. ხელშეკრულობის ძალით იაპონიამ შემწეობა უნდა აღმოუჩინოს კორეიას რეფორმების შემოღებასა და შინაურ მოწყობაში.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია დაიხურა.

**მოსკოვი.** ქალაქმა გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინს ოქროს ხატი მიართვა.—ჩამოვიდნენ ტფილისიდგან ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენლები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ წინამძღოლთა კრებაზე.

15 თებერვალი.

**ხარბინი.** ხარბინსა და მისს მოსაზღვრე ადგილებში მშვიდობიანობაა. გუნჯულინის მახლობლად მწვერვალიდგან მოსჩანს ნიშნები, წითელისა და თეთრის სინათლისა, რომელთაც ჩვენის მზვერავების მოახლოვებისთანავე აქრობენ. მონგოლიის საზღვრებიდგან ხუთის ვერსის მანძილზედ თავს იყრიან შეიარაღებულნი, რომელნიც ვითომდა სალოცავად მოსულან.

**სტამბოლი.** რადგანაც ალბანელთა მოძრაობა გაძლიერდა იპეკში, იმ სახელმწიფოთა ელჩებმა, რომელთაც ხელშეკრულობაზედ ხელი უწერიათ, შესაფერი ღონისძიებანი წარუდგინეს პორტას. ოსმალეთი ჰგზავნის ალბანეთში არტილერიის ოთხს ბატალიონს. სამოქალაქო აგენტებისაგან წარდგენილნი და ელჩებისაგან მოწონებულნი ღონისძიებანი, რომელნიც მაკედონელ ლტოლვილთა თავ-თავიანთ ბინაზედ დაბრუნებას შეეხება, ახლო მომავალში გამოქვეყნებულ იქმნება.

**ლონდონი.** («რეიტ. სააგენტო»). ნაგასაკში დიდის სიჩქარით სხამენ გემებზედ ჯარებს. 28 იანვარს გაამგზავრეს ორმოცზედ მეტი ტრანსპორტი.

**ტოკიო.** იაპონიასა და კორეას შორის 18 თებერვალს (ახ. სტ.) შემდეგი ოქმი იქმნა დადებული: 1) კორეისა და იაპონიას შორის ხანგრძლივისა და მჭიდრო მეგობრობის განმტკიცებისა და აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის, კორეის მთავრობა სრულს ნდობას უცხადებს მიქადოს მთავრობას და ყოველსავე მისს რჩევა-დარიგებას, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობის გ ნკარგებას შეეხება, კორეის მთავრობა სიამოვნებით მიიღებს; 2) იაპონიის მთავრობა იხელმძღვანელებს ამ მჭიდრო მეგობრობის ხელშეკრულობით და იზრუნებს, რომ კორეის საიმპერატორო სასახლეს არავითარი შიში არ მოელოდეს და დაიცავს მშვიდობიანობას; 3) იაპონიის მთავრობა პასუხის მგებელია, რომ კორეის ტერიტორიის ხელშეუხებლობა სამუდამო იყოს; 4) იმ შემთხვევაში, თუ კორეის საიმპერატორო სახლსა და მისი ტერრიტორიის დამოუკიდებლობას შიში რამ მოელის მესამე სახელმწიფოს საქმეში ჩარევით ან შინიგან არეულობით, მაშინ იაპონიის მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს შესაფერს ღონისძიებას და ამგვარ შემთხვევაში კორეის მთავრობამ სრული დახმარება უნდა აღმოუჩინოს იაპონიის მთავრობას, მის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამ აზრით, იაპონიის მთავრობას, თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, შეუძლიან დაიჭიროს პოზიციები, რამდენადაც ეს საჭირო იქნება სტრატეგიულის მოსაზრებით; 5) ორივე სახელმწიფოს მთავრობანი მომავალში თანხმობით იმოქმედებენ და ერთმანეთთან მოულაპარაკებელად არც ერთ რომელსამე მესამე სახელმწიფოსთან არავითარს ხელშეკრულობას არ დასდებენ, თუ ეს ხელშეკრულობა წინააღმდეგი იქნება ამ პირობის ძირითადის მუხლებისა; 6) შემდეგში ამ ოქმის ყოველს მუხლს დაწვრილებით შეიმუშავებენ და განახორციელებენ იაპონიის წარმომადგენლისა და კორეის გარეშე საქმეთა მინისტრის ერთმანეთთან შეთანხმებით, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვს.

**ჩიფუ.** იაპონიის კანონერკა, რომელიც პორტ-არტურთან ბრძოლის დროს ძლიერ დაზიანდა, სცდილობდა ჩიფუს მოსვლას, მაგრამ დასძირა ნავთ-სადგურში მოსვლამდე.

**პეტერბურგი.** რუსეთის ჯარის კაცთა შორეულ აღმოსავლეთში გადასხმის წესრიგის გამო გავრცელებულ უსაფუძვლო ხმათა უარ-საყოფელად, «ნოვოე ვრემია», თვალით მნახველთა სიტყვით, იუწყება, რომ ყველა ჯარის-კაცს გამოუკლებლივ აცვია ჯუბა, ფუფაიკა, აქლემის ყელის მატყლისაგან მოქსოვილი კურტკები, თბილი ფეხსაცმელები, თბილი წინდები და ხელთათმანები. ვაგონებში თითოეულისათვის დასაძინებელი ადგილებია; ყველა ვაგონში რკინის ღუმელია. შეშა—რამდენიც გნებავთ. ამნაირ ვითარებაში ყინვები საშიში არაა; ყველანი საუცხოვო გუნებაზედაა. წინდაწინვე დანიშნულს ადგილებში ამზადებენ ნოყიერსა და ცხელს საჭმელებს. აფიცრები მზრუნველობით ეკიდებიან ჯარის კაცებს და თავიანთის ფულით ჰყიდულობენ მათთვის საკითხავ წიგნებს. ამგვარს შორს გზაზედ უკეთესი მოწყობილება ჯარებისათვის საფიქრებლადაც-კი ძნელია.

დროებითი რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

**პეტერბურგის ბირჟა**

10 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | $5^1/_2$—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 92 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 356 წვ. გაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 303 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 240 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

**რკინის გზის მიმოსვლა.**

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამო 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამეაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

**იყიდება რამდენიმე ნაჭერი მიწა** საუფლისწულო სარდაფის იქით და იმ ადგილის პირდაპირ, სადაც სათავად-აზნაურო სკოლის სახლი შენდება. პირობების გაგება შეიძლება ოლგის ქუჩაზე, სახლი № 14
(2—38—2)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროს კოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისა სნითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
**ბ. მ. მირიმანიანისა.**
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНIАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—18)



**მოითხოვეთ ყველგან ნანდვილი**
**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
იყიდება ტფილისში—საათიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(33—6—31)




გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
**ქაჯანა**

ახალი წიგნები
**წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს**
გამოცემა.

| | |
|---|---|
| **გრიგოლ ორბელიანის ლექსები** სურათით | 20 კ. |
| **წმინდა გიორგის რაზმი** | 5 „ |
| **სამეგრელოს სერო სკოლები** ლოლუასი | 5 „ |

ჩვენი გამოცემანი.

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა | 15 „ |
| **თამარ მეფე** | 5 „ |
| **ვაჟრული ჭკუა** | 5 „ |
| **დათუნა გოცირიძე** და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა | 5 „ |
| **პატარა ჩონგური** ლექსები (დედა-ენა) | 5 „ |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 „ |
| **ორი ქოსატყუილა**, **ბიჭია მენახვირე**, **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი | 10 „ |
| **აბრამის და იობის ლექსი** | 3 „ |
| **სურათი თამარ მეფისა** | 5 „ |
| **კულტურა** ლიპერტისა | 50 „ |
| **ლექსიკონი** რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა | 50 „ |

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები
ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.
ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»
მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.** 10—6

ს.-პეტერბურგის კომპანია
**„ნადეჟდა“**
ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.
**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.
ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.
ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.
დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.
გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას„-ი** ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.
სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.
ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—13)

მსწრაფლ მბეჭდავი
**სტამბა**
ექვთიმე ივ. ხელაძისა,
რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;
იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.
სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.
ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს
**„მწყემს“-ზე**
და
რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე
XIX
ჟურნალის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ | 3 მ. | ორივე გამოცემა | 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით | 4 მ. | 6 თვით „მწყემსი“ | 2 მ. |
| რუსული | 3 მ. | რუსული | 2 მ. |
| | | ორივე გამოცემა | 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარაშვილთან.
სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**
რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.
გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.
რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.
რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.


Дозволено цензурою Тифлисъ, 14 февраля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, д арм. семинаріи.